

Georgian DMC LLC

4a, Ingorokva Str., Tbilisi, 0194, Georgia

ძირითადი საქმიანობა

შპს "ჯორჯიან დიემსი (შემდგომში "ორგანიზაცია") დაფუძნდა 2009 წლის 06 იანვარს, მარეგისტრირებული ორგანო არის თბილისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია), მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ინგოროვას ქ.#4ა, მე-3 სართული. კომპანიის დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელია ალექსანდრე მამულაშვილი (პ/ნ 01024010474)

კომპანიის ძირითად საქმიანობაა უცხოელი ტურისტების ჩამოყვანა საქართველოში და მათთვის ტურისტული მომსახურების გაწევა. ტურისტული პაკეტი გულისხმობს სასტუმროს, რესტორნის, მუზეუმის დაჯავშნას, კულტურული ღირსშესანიშნავი ადგილების მონახულებას და სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზებას. ასევე ტრანსპორტით და გიდით მომსახურებას. კომპანია ტურებს ახორციელებს მთელი საქართველოს მასშტაბით და მომხმარებლებს სთავაზობს ისტორიულ ტურებს, რომელიც გულისხმობს ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა ისტორიული ძეგლების მონახულებას. მთის ტურებს, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ლოკაციებზე კარვებით მომსახურებას, თემატურ ტურებს, როგორცაა ღვინის ტურები კახეთში, დედაქალაქის ტურებს. ტურისტებს შესაძლებლობა აქვთ თავად განსაზღვრონ სასურველი მარშრუტი ან გამოიყენონ ორგანიზაციის მიერ შეთავაზებული სტანდარტული ტურები. ზოგ შემთხვევაში დამკვეთთა მოთხოვნების შესაბამისად ხორციელდება ამიერკავკასიის ტურები, რა დროსაც ტურისტებს საშუალება აქვთ ერთი ტურის ფარგლებში მოინახულონ საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის ღირსშესანიშნაობები.

დანართი N1 და დანართი N2-ში მოცემულია 2024 წლის ფინანსური მდგომარეობის და სრული შემოსავლის არა აუდიტირებული ანგარიშგება.

გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში. ფული და ფულის ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

	12/31/2024	12/31/2023	12/31/2022
ლარი საბანკო ანგარიშებზე	27629.17	36490.24	17174.03
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	4142767.47	3104969.56	2387837.80
ნაღდი ფული საღაროში	5.59	185.26	3.41
ჯამურად ნაღდი ფული საღაროში	5.59	185.26	3.41
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	4170402	3141645	2405015.24

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან, რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს ტურისტული მომსახურება. მომსახურება აღიარა შემოსავლად და არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ძირითად შემთხვევაში ორგანიზაცია ემსახურება უცხოელ დამკვეთებს წინასწარ გადახდილი თანხის საფუძველზე. საანგარიშო პერიოდის ბოლოს, კომპანიის ბალანსზე, არ არის იდენტიფიცირებული არსებითი ღირებულების უიმედო ვალები და მიმდინარე მოთხოვნების ვადაგადაცილებული დავალიანება, შესაბამისად მენეჯმენტი არ ახორციელებს მათ დარეზერვებას პერიოდის ბოლოს. სხვა მოთხოვნები მოიცავს მომწოდებლებზე გადახდილ ავანსებს და დაქირავებულ პირებზე საქვეანგარიშოდ გაცემულ თანხებს.

	12/31/2024	12/31/2023	12/31/2022
სავაჭრო მოთხოვნები	975	5010	1531
სხვა მოთხოვნები	588	567	0
სულ მიმდინარე მოთხოვნები	1563	5577	1531

Georgian DMC LLC

4a, Ingorokva Str., Tbilisi, 0194, Georgia

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. კომპანიის საკუთრებაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებითი ნაწილი მოიცავს საწვავს და ბოთლით წყალს, რომლის ხარჯვა ხორციელდება გაწეული ტურისტული მომსახურების უზურუნველსაყოფად და ფინანსურ ანგარიშგებაში კლასიფიცირებულია მიწოდების ხარჯად.

	12/31/2024	12/31/2023	12/31/2022
საწვავი	3419.82	1756.89	14931.79
წყალი	264.53	0	144.36
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	3684.35	33225.09	29328

ძირითადი საშუალებები და პერიოდის ცვდის ხარჯი

ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნაღებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ.

მიწას, ხელოვნების ნიმუშებსა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, ქვემოთ მოცემული საექსპლუატაციო პერიოდის შესაბამისად, 2024 წლის ბოლოს ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციის შედეგად ჩამოწერილია ბალანსზე რიცხული კომპუტერული ტექნიკა.

- კომპიუტერული ტექნიკა 10-20
- ინვენტარი 5-10

კომპიუტერული ტექნიკა ინვენტარი

საწყისი ღირებულება

ბალანსი 01/01/2023	322,81	64,67
აკუმულირებული ცვეთა	(1098,36)	(272,02)
ბალანსი 31/12/2023	215,2	330,53
ბალანსი 01/01/2024	215,2	330,53
ცვეთა	(107,61)	(89,19)
ჩამოწერა	(107,59)	
ბალანსი 31/12/2024	0	241,34
ბალანსი 31/12/2023		241,34

Georgian DMC LLC

4a, Ingorokva Str., Tbilisi, 0194, Georgia

სავაჭრო ვალდებულებები და მიღებული ავანსები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას. მიღებული ავანსები წარმოადგენს მომავალში მისაწოდებელი მომსახურების ღირებულებას და ასახულია ვალდებულებების ნაწილში.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია პერიოდის ბოლოს არსებული ვალდებულებები მომწოდებლების წინაშე, დებიტორებიდან მიღებული ავანსები, სახელფასო ვალდებულებები და სხვა მიმდინარე გადახადები.

სავაჭრო ვალდებულებები	12/31/2024	12/31/2023	12/31/2022
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	3,369.04	19674.23	879.88
მიღებული ავანსები	19058.17	0	3785.76
გადასახდელი ხელფასები	151.92	0	550.37
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	75	0	0
სულმიმდინარე ვალდებულებები	22654	19674.23	5216.01

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელის მიერ.

დივიდენდები

დივიდენდები ვალდებულადაა აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდში გამოცხადებული დივიდენდი მიკუთვნებულია იმ საანგარიშო პერიოდს რომელ პერიოდშიც მოხდა მისი განაწილება.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდულ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შემენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე, დღგ-ის ანგარიშ ფაქტურის მიღებისთანავე. ორგანიზაციის მომსახურების არსებითი ნაწილი განთავსებულია დამატებითი ღირებულების გადასახადისგან, ვინაიდან დაკავშირებულია ტურისტულ მომსახურებასთან. საანგარიშო პერიოდში ჩათვლილი დამატებითი ღირებულების გადასახადი დაბრუნებულია საგადასახდო ორგანოსგან მიმდინარე პერიოდში.

შემოსავალი რეალიზაციიდან და გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობისა და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე.

კომპანია ტურისტული პაკეტის მიღებული შეგვეთისათვის განსაზღვრავს ფასს და შესაბამის ინვოისს უგზავნის მომხმარებელს, ძირითადად ტურისტული პაკეტის უშუალოდ განხორციელებამდე ხდება მომხმარებლის მიერ თანხის

Georgian DMC LLC

4a, Ingorokva Str., Tbilisi, 0194, Georgia

გადახდა, რომელიც მიღებულ ავანსებში აღირიცხება. არის შემთხვევები როდესაც ავანსის მიღებამდე კომპანია გასწევს ტურისტული პაკეტის მიწოდებას, რომელიც ინვოისის საფუძველზე დებიტორულ დავალიანებად აღირიცხება. შემოსავლის აღიარება ხდება ტურისტული პაკეტის დასრულების შემდეგ ტურისტული პაკეტის დასრულების თარიღით

12/31/2024

შემოსავალი რეალიზაციიდან

2436035.12

სულ შემოსავალი

2436035

ხარჯები

კომპანია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების ძირითადი ნაწილი მოიცავს მიწოდების, ხელფასის, ცვეთის და სხვა ადმინისტრაციულ ხარჯს, რომელშიც გაერთიანებულია საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები.

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	1,369,993.28
რეკლამის ხარჯი	12,280.03
საწვავის ხარჯი	19,044.70
სასტუმროს მომსახურების ხარჯი	701,825.81
ტურისტების მომსახურების ხარჯი	213,567.54
მუზეუმებისა და ნაკრძალების ხარჯი	44,276.70
პირდაპირი ხელფასის ხარჯი	148,730.93
ქვეკონტრაქტორი ტურკომპანიების ხარჯი	63,845.48
ტრანსპორტირების ხარჯი	159,229.88
მიწოდების სხვა ხარჯები	7,192.21
ადმინისტრაციული ხარჯები	189,630.32
ხელფასის ხარჯი	97048.93
იჯარის ხარჯი	51,325.13
მივლინების ხარჯები	28,331.70
კომუნიკაციის ხარჯები	87.67
ცვეთა	265.61
სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	12,571.28

Georgian DMC LLC

4a, Ingorokva Str., Tbilisi, 0194, Georgia

დანართი N 1

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საქმიანობის შედეგები	31/12/2024	31/12/2023
ამონაგები	2436035	1852901
მომსახურების გაწევიდან	2436035	1852901
გაყიდვების თვითღირებულება	-1369993	-1112941
საერთო მოგება	1066042	739960
დასაქმებულთა ანაზღაურება	-97049	-62387
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-266	-180
საპროცენტო შემოსავალი	61469	57425
იჯარის ხარჯი	-51325	-33173
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-40991	-23570
სულ საოპერაციო ხარჯები	-128162	-61884
საოპერაციო მოგება	937880	678075
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	72703	35899
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	10041	-2779
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	1020625	711195
მოგების გადასახადის ხარჯი	0	-2
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	1020625	711193
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მილიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	1020625	711193
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	3135236	2424042
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	4155861	3135235

Georgian DMC LLC

4ა, Ingorokva Str., Tbilisi, 0194, Georgia

დანართი N 2

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2024	31/12/2023
მიმდინარე აქტივები		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4170402	3141645
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	975	5010
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	588	567
მარაგები	3684	1757
სხვა მოკლევადიანი აქტივები	2381	5041
სულ მიმდინარე აქტივები	4178031	3154020
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	484	890
სულ გრძელვადიანი აქტივები	484	890
სულ აქტივები	4178515	3154910
ვალდებულებები		
მიმდინარე ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	22427	19674
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	227	0
სხვა ვალდებულებები	0	0
სულ მიმდინარე ვალდებულებები	22654	19674
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი	80	80
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	4155781	3135156
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	4155861	3135236
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4178515	3154910

დირექტორი

ა.ლ. მამულაშვილი

11.08.2025

